

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ
სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნინო შიუკაშვილი
წევრ(ებ)ი:
ნათია ოზბეთელაშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**225389488**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა**
ფაქტობრივი მისამართი	**სოფელი ქვეში**
საფოსტო ინდექსი	**1100**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/schools/1997?schoolName**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**bolkveshi.mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	596 01 050 05

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 10 ნოემბერს N MES 8 25 0001570959 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	11-12 დეკემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 10 ნოემბერის N MES 8 25 0001570959 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში.
ვიზიტის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის მიერ 2023 წლის 15 ნოემბერის N1552694 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება.
ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს წინა საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველზე ექსპერტების დასკვნა, ავტორიზაციო საბჭოს სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია.
დაწესებულებაში ექსპერტებს კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო დაგვხვდა. ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორი იმყოფებოდა შვებულებაში(სექტემბერში მას ჩაუტარდა მენჯ-ბარძაყზე ოპერაცია , ესაჭიროებოდა ხანგრძლივი რეაბილიტაცია და ბიულეტენის რამდენჯერმე გაგრძელების შემდეგ ,მან ისარგებლა უხელფასო შვებულებით) . ექსპერტებთან თანამშრომლობდა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოვალეობის შემსრულებელი პირი და ამავე პირის მიერ ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი.
ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია , ადგილზე დათვალიერებით შესაწავლილ იქნა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, E-school და E- flow პლატფორმები.
ვიზიტის პერიოდში შედგა სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრა. ინტერვუიების საფუძველზე შესწავლილი იქნა სკოლაში მიმდინარე შიდა პროცესები.
ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდეს იმ მიგნებების შესახებ, რომლების ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
160	124

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლაში ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა ხარვეზები 1-ელსა და მე-3 სტანდარტში. კერძოდ, დახარვეზდა

- *1-ელის სტანდარტის , 1.2 . კომპონენტი(სკოლის დაგეგმვა განვითარება) , რადგან სკოლამ ვიზიტისას ვერ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და მისი შედეგებს გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა.*
- *მე-3 სტანდარტის 3.4 (ადამიანებისა და პროცესების საფრთხოება)და 3.5* (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა *)კომპონენები. სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერებისას აღმოჩენილი იქნა ორ დამხმარე შენობა -ნაგებობას შორის ბრმა წერტილი , რომელიც სამეთვალყურეო კამერებით ვერ კონტროლდებოდა . ასევე , (ინდიკ. 3.5.1.2) სკოლას ბიბლიოთეკა და რესურს ოთახი ერთ სივრცეში ჰქონდა მოწყობილი. რაც ,თავის მხრივ , ზღუდავდა საერთო სარგებლობის სივრცეების სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.*

  დასკვნის პროექტის საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია , შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია(სამოქმედო გეგმის შესრულების / მონიტორინგის ანგარიში) 1-ელი სტანდარტი გადავიდა შესაბამისობაში .

  შესაბამისობის გეგმაში გაწერილია ასევე გაწერილია კამერების დამონტაჟებისა და რესურს ოთახის გამიჯვნის ვადები . კემერების დამონტაჟება დასრულდება ამა წლის 24 თებერვალს, ხოლო რესურს ოთახი კი გაიმიჯნება ამა წლის 15 სექტემბრიდან.

  შესაბამისად, მე-3 სტანდარტის ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და სკოლას მიეცა რეკომენდაცია , დაიცვას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*რეკომენდაცია*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

N 3.4.1.3		*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგ* *განსაზღვრულ ვადებში (24/02/2026)* *გარე პერიმეტრზე დაამონტაჟოს სამეთვალყურეო კამერები დამატებით შენობა-ნაგებობებს შორის არსებული ბრმა უჯრედის დასასფარად და სრულად უზრუნველყოს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.*
ინდიკატორი N3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის*	***რეკომენდაცია*** *დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფ* *გეგმი განსაზღვრულ ვადებში (15.09.2026)* *ბიბლიოთეკისა და რესურს ოთახის გამიჯვნა და აქედან გამომდინარე , სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მათი ხელმისაწვდომობა.*
ტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების*	*სასურველია ,* *სამოქმედო გეგმაში დაკონკრეტებული იქნეს აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (მაგ.: ადამიანური ან/და მატერიალური ან/და ფინანსური)*

	გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*რჩევა:* *რადან სკოლას სრული განაკვეთით ვერ ტვირთავს შემთავსებელ მასეავლებლებს, სასურველია, გამოაცხადოს კონკურსი ხელოვნებისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პოზიციაზე , სერტიფიცირებული მასწავლებლების სრულ განაკვეთზე დატვირთვის მიზნით.*
ინდიკატორი N 3.2.1.2.	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	*რჩევა :* *სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის ანგარიშის ფორმა , რაც საშუალებას მისცემს მის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრონ გასაძლიერებელი მხარეები და დაგეგმონ ეფექტური აქტივობები და შეიტანონ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში .*

ინდიკატორი N 3.2.1.5	*წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები*	***სასურველია,*** *სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივით მიმართვის ფორმები და აქტივობები ასახული იქნეს შესაბამის დოკუმენტში.*
ინდიკატორი N 3.3.2.2	*უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა*	***სასურველია,*** *კველევებისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი და დასკვ წარმოადგინოს დოკუმენტის სახით.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	*შენიშვნა*
1.2.1.2.	*დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა არი შვიდწლიანი და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს.*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.12.23) შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცებ რომელიც მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს.*	*შესრულდა*
1.2.1.3	*დაწესებულების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლ სტრატეგიულ გეგმას.*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (28.12.23) სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება სკოლი სტრატეგიულ გეგმას.*	*შესრულდა*
1.2.1.4	*დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცა შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, შესაბამ რესურსებს,ამასთან გამომდინარეობს შვიდწლია გეგმიდან.*	*ვსკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ივადებში (28.12.23)სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს შესრულები ნ გაზომვად ინდიკატორებს, შესაბამის რესურსებს და რომელიც გამომდინარეობ შვიდწლიანი გეგმიდან.*	*შესრულდა*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	
3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეეაბამება დაკავებუ თანამდებობას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.10.23)პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება.*	შესრულდა
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებ სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარებ აღმოჩენას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი* *განსაზღვრულ ვადებში (28,12,23)* *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამი* *სტურქტურებთან;* • *სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთა* *შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისი უწყებებიდან;*	შესრულდა

		• *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული პირობები შესაბამისად, სკოლის ექიმის დასაქმება და ავადობის შემთხვევები კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვა და აღრიცხვა.*	
3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიუ გარემოს;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში (28.12.23) რესურსოთახის მოწყობა;*	*არ შესრულებულა*
3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტუ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვ სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის ი განსაზღვრულო ვადებში (20.10.23) სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის წესის შემუშავება.*	*შესრულდა*
3.6.3.3	*საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხ არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარ საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის განსაზღვრულო ვადებში (20.10.23) საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი დამტკიცება.*	*შესრულდა*
3.6.3.1 *3.6.3.4.* *3.6.3.5*	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდ შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხებ საშუალებით;* *სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდ შესაბამისი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი ზგანსაზღვრულო ვადებში (25.12.23) ვებ-გვერდის შექმნა და მასზე სტანდარტი* *ი მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა.*	*შესრულდა*

	გვერდი, რომელზეც განთავსებულ ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზ ახორციელებს სწავლებას;ვებ გვერდი/ვებ გვერდ შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლ შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურ პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და სხვ.		

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა (შემდგომში ,,სკოლა'' ან ,,დაწესებულება'') მდებარეობს ქვემო ქართლში, სოფელ ქვეშში. სასკოლო საზოგადოება მრავალეთნიკურია. სკოლამ მიზნად დაისახა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა ჩამოყალიბდეს სრულფასოვან, განათლებულ, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე და გლობალურად მოაზროვნე მოქალაქედ.

სკოლის პრიორიტეტი არის არაქართველი მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობა ქართულ გარემოში. დაწესებულება მიზნად ისახავს თითოეულ მოსწავლეში დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამოქალაქო ცნობიერებას. საგანმანათლებლო დაწესებულება მოიცავს დაწყებით და საბაზო **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხურებს**

სკოლის ხედვა მოიცავს მოსწავლისათვის საშუალო საფეხურზე განათლების გაგრძელებას, რათა გახდეს მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და მისი საქმიანობა დაეხმაროს ინტელექტუალურ კაპიტალის შექმნაში თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.

სკოლა თავის საქმიანობაში ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: დემოკრატიული მართვა, გუნდურობა, ღიაობა, თანამშრომლობა, ტოლერანტობა და გამოხატვის თავისუფლება. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან სკოლის ფილოსოფია მიზნად ისახავს მოსწავლეში ისეთი გლობალური უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა მულტიკულტურული გარემოს ფორმირებაზე, ტოლერანტული ღირებულებების მატარებელი მოსწავლის აღზრდაზე და სხვა იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რომელიც წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფიაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლბში შესწავლილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური, სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრის კრების ოქმებში იკითხება სკოლის ფილოსოფიაში შემავალი საკითხების განხილვა. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებული გამოწვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა კრებებზე. კერძოდ, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისას მასწავლებლები ასახელებენ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებების გაცნობის ფაქტს. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა მტკიცებულებად მშობელთა კრების, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში განათავსა სკოლის დერეფანში, რითაც მოხდა საჯაროობის უზრუნველყოფა. ამასთან დაწესებლებას სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები) განთავსებული აქვს სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია: სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პადაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;

- სამეურეო საბჭოს შეხვედრის ოქმებში;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ დაზუსტებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აღნიშნული დოკუმენტების თანხვედრა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

2023 წლის ავტორიზაციის პროცესში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ უზრუნველყოს „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს.“ სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოდგინა შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია როგორც ციკლური პროცესი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით. სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება (აღნიშნული ჩანს ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან მიმართებითაც), გათვალისწინებულია შედეგების ანალიზის წარდგენის ფორმები და მათზე რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

2023 წლის ავტორიზაციის პროცესში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ უზრუნველყოს “შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.” სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სკოლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთწლიანია, ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და მოიცავს კონკრეტულ, დროში გაწერილ შესრულებად აქტივობებს. მასში მოცემულია მისიისა და ხედვის შესაბამისი მიზნები, ამოცანები, რესურსები. განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლის ერთწიანი სამოქმედო გეგმა თავსებადია სტრატეგიული გეგმის ამოცანებთან. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოოგიის მონიტორინგის მექანიმზებიდან ჩანს, რომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს (SWOT-ანალიზის საფუძველზე) და თვითშეფასებას ახდენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში:

-სკოლამ ვიზიტამდე წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

-ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის ექსპერტების მხრიდან, მოხდა მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტაცის: სკოლის 2024-2025 სამოქმედო გეგმის, მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის, სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებების;

-სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის მეორე დღის ბოლომდე გადმოგზავნა მიმდინარე წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტებიდან 2024-2025 სასწავლო წლის სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია;

სკოლის მხრიდან წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2023-2024 წლისა და 2025-2026 წლის) იდენტურია და არ ჩანს სკოლის თვითშეფასებას როგორ ეფუძნება. აგრეთვე, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ, სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტევიუებით ვერ დასტურდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დაფუძნება ყოველწლიური თვითშეფასებასთან. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუების პროცესში არ იკვეთებოდა სკოლის მიერ წარმოებული თვითშეფასების პროცესი ან/და ამ პროცესების ამსახველი მტკიცებულებები. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა ხარვეზად, რადგან სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნებოდა სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ**

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მასში გაწერილი აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები. კერძოდ, გასული სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, რომელებშიც იკითხება თვითშეფასების შინაარსი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

2025 წლის ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისა და 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები იდენტურია, ამიტომ ექსპერტების მხრიდან წარმოდგენილი შეფასება ერთნაირად ეხება ორივე სასწავლო წლის წარმოდგენილ სამოქმედო გეგმებს. სასკოლო სასწავლო გეგმების შესწავლით დგინდება, რომ: დაწესებულებამ გაითვალისწინა 2023 წლის ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია, რომ სკოლამ უზრუნველყოს „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, შესაბამის რესურსებს და რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი გეგმიდან.“ კერძოდ, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმებში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის სტრატეგიული მიზნებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი: აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. აგრეთვე, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და გაზომვადი ინდიკატორები. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისას იკვეთება სკოლის კადრის გუნდურობის, თანამშრომლობისა თუ სკოლისადმი მიკუთვნების არაერთი მაგალითი. ხოლო სამოქმედო გეგმაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დელეგირებულია სასკოლო საზოგადოებაზე. აღნიშნული ორი ფაქტის კორელაცია სამოქმედო გეგმის შესრულებას რეალისტურს ხდის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;
- სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრულია ორჯერ (გეგმის განხორციელების შუაში და ბოლოს).

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი სკოლაში მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად:

- **მონიტორინგის პერიოდები**: სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.
- **მონიტორინგის კოორდინაცია**: პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

- **მონიტორინგის საფუძვლები**: მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსზე დაშესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა.
- **შეფასების პროცესით მიღებული ინფორმაცია**: აღებული მონაცემების ანალიზი და რეაგირების საჭიროების განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხის გაუმჯობესებას.
- **ორი ალტერნატივა მონიტორინგისთვის**: *ალტერნატივა I:* სკოლა იყენებს გაზიარებულ ფაილზე მუშაობის მეთოდს, სადაც აღიწერება აქტივობების შესრულების სტატუსი და ატვირთული მტკიცებულებები. *ალტერნატივა II:* ანგარიშების წარმოდგენა, სადაც პასუხისმგებელი პირები წერილობით ანგარიშებს წარადგენენ.
- **გაერთიანებული შეხვედრები**: მონიტორინგის დასრულების შემდეგ იმართება შეხვედრა, სადაც აქტივობების სტატუსი განიხილება.
- **სიხშირე**: ყოველწლიურ ანგარიშის შექმნის შემდეგ, მონიტორინგის პროცესი სრულდება და შესრულების ანგარიში მზადდება, რომელიც საჯაროვდება.
- **შედეგების გაზიარება**: გარკვეული ანგარიშ(ებ)ი განათავსდება სკოლის ვებგვერდზე და სხვა საკომუნიკაციო არხებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრულია ორჯერ (გეგმის განხორციელების შუაში და ბოლოს). ამასთან, სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული აქვს ორი წლის წინ, 2023 წლის 30 ნოემბერს, ამიტომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შუალედური მონიტორინგი ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ვერ იქნებოდა შესწავლილი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გეგმიურ მონიტორინგს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შეფასებისთვის ავტორიზაციის პროცესში სკოლის მხრიდან არ წარმოდგენილა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მინიტორინგის ჩატარების მტკიცებულებები (თავად რაც უწერია სკოლას მეთოდოლოგიაში ის დოკუმენტები/წერილობითი ანგარიშები/ანალიზის ფორმბი/შეხვედრის ოქმები/შესრულების

ანგარიშ(ებ)ი, მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ა.შ.). სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით არ გამოვლენილა სამოქმედო გეგმის პროცესების ამსახველი მაგალითები, რომლებზე დაყრდნობითაც შეფასდებოდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულება. სკოლის სივრცესა და ვებ გვერდზე არ იძებნება გასაჯაროვებული მონიტორინგის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი, რადგან სკოლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა არ ახორციელებდა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მასში გაწერილი აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები. კერძოდ, გასული სასწავლო წლების კლასის დამრიგებლის ანგარიში (სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტის შესახებ), ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, რომელებშიც იკითხება თვითშეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში:

- შესწავლილ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც სკოლას დამტკიცებული აქვს 2023 წელს, ხოლო მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა თუ შესრულების პერიოდი ჯერ სკოლას არ ჰქონია.
- სკოლას არ წარმოუდგენია ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლის მატერიალური სივრცისა და ვებგვერდის დათვალიერებისას არ იძებნება სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი, რადგან სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები სკოლას არ ჰქონდა შესაბამისად სკოლაში არ ხდებოდა სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობა. სკოლის

მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მასში გაწერილი აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები. კერძოდ, გასული სასწავლო წლების კლასის დამრიგებლის ანგარიში (სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტის შესახებ), ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, რომელებშიც იკითხება თვითშეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ამასთან სკოლის ვებგვერდზე წლიური სამოქმედო გეგმის ნაწილში იკითხება/გამოყოფილია შესრულების ანგარიშის ველი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში:

- შესწავლილ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც სკოლას დამტკიცებული აქვს 2023 წელს, ხოლო მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა თუ შესრულების პერიოდი ჯერ სკოლას არ ჰქონია.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი, რადგან სკოლის მიერ მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების არსებობა არ დგინდებოდა, შესაბამისად სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები არ გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მასში გაწერილი აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები. კერძოდ, გასული სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, რომელეთა აღწერილობაშიც თითოეული მიმართულების პროგრესის შეფასებისას იკითხება მიღწევები და სამომავლო კონკრეტული რეკომენდაციები/გაუმჯობესების გზები სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში;
- სკოლის ვებგვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციის სტრუქტურა (16.10.2023 წლის ბრძანება N2-83), რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან, ასევე სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი , დასაქმებულ პირთა ფუნქციები, შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები, რომლებიც ასახულია სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში (მუხლი 3, ქვემუხლი 3.3.) და შესაბამება ერთმანეთს. სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ფუნქციების დოკუმენტი , რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და კონკრეტულ პირებს შორის გადანაწილებულია პასუხისმგებლობები და მათ აქვთ ჯანსაღი თანამშრომლობითი ურთიერთობა. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დასქმებული თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც თანხვედრაში იყო დაწესებულების მიერ შემუშავებულ და დადგენილ მოთხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურის ორგანოგრამა
- დირექტორის ბრძანება სტრუქტურის დამტკიცების შესახებ (16.10.2023 წლის ბრძანება N2-83)
- საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა''(ბრძანება N2-49, 07.08 2023წ.) , დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მომზადება/ შენარჩუნება. მაღალკვალიფიციუროი კადრების მოზიდვა/ შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ.
დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის, 21 ნოემბრის № 1014 ბრძანების, ასევე „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის ,23მაისის, N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს,
ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ პროცესები მიმდინარეობს სკოლის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. წინამდებარე წესის შესაბამისად, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში ძირითადი მასწავლებლისათვის დროებით შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ვაკანტური ადგილი (საგნის ვაკანტური საათები) შეავსოს კონკურსის გამოცხადების გარეშე .გადაუდებელი საჭიროების გამო გაცდენის შემთხვევაში, დროებით არმყოფი მასწავლებლის ნაცვლად მიღებულ მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ძირითადი მასწავლებლის სამსახურში გამოცხადებამდე. გარდა ამისა, დოკუმენტში ასევე დეტალურადაა გაწერილი, თუ ვინ ასრულებს მოვალეობებს სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირის არყოფნის შემთხვევაში. აღნიშნული პროცესები წარმოადგენს რესურსების მართვის ინტერვენციულ და პრევენციულ პოლიტიკას.

ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესში (თავი 4, მუხლი 7 სკოლაში პედაგოგის /თანამშრომლის მიღება და სამსახურეობრივი შეთავსება) არ იყო შეტანილი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე ცვლილება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სვლილეის შეტანასთან დაკავშირებით და ვიზიტის პერიოდშივე იქნა ჩასწორებული. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება(ბრძანება N 2-92) და დანართი.

ყოველივე ზემოაღნიშულის დასტურია ის, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორი იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში, რადგან ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და ბიულეტენით განსაზღვრულ ვადაში ვერ გამოცხადდა სამსახურში, აქედან გამომდინარე მან სკოლაში მმართველობით პროსესებზე პასუხისმგებლობა დააკისრა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ პირს, რომელიც ექსპერტებთანაც თანამშრომლობდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge. სკოლის ადამიაური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესწავლით დადგინდა, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლას აქვს განსაზღვრული საკონკურსო პირობები, სკოლის დოკუმენტში მითითებული საკონკურსო პირობებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელსაც ადგენს სკოლის დირექტორი.

სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმები და შესაბამისი ბრძანებები, რომლითაც განხორციელდა სკოლაში მასწავლებლების შერჩევა.

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად არის განთავსებული სკოლის მიერ გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ:

- ნასამართლეობის ცნობები (ნასამართელობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ) ,
- დიპლომი
- ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 21 თანამშრომელი, მათგან 15 დასაქმებულია მასწავლებლის პოზიციაზე, ხოლო დანარჩენი პირები ადმინისტრაციულ პოზიციებზე. სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები(**16.10.2023 წლის ბრძანებით N2-85**) თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით. ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 15 უფროსი სტატუსის მქონე პირი.

საათობრივი ბადისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ ისტ-ის პედაგოგს შეთავსებული ჰქონდა სკოლის ბუღალტერს პოზიცია, ხოლო მუსიკის მასწავლებელს შეთავსებული ასევე გაფორმებული იყო ბიბლიოთაკარის პოზიციაზე.

სკოლაში შეთავსებით მუშაობენ იმავე მუნიციპალიტეტის სხვა საჯარო სკოლებში მომუშავე ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და ხელოვნების მასწავლებლებლები, შესაბამისად ვერ ხერხდება მათი სრულად დატვირთვა , რამაც განაპირობა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელს შეთავსებული ჰქონდა ხელოვნებისა და მე და საზოგადოების საათები. სკოლას რჩევა მიეცა, რომ გამოაცხადოს კონკურსი ხელოვნებისა და სამოქალაქოს განათლების მასწავლებლის პოზიციაზე .

დირექტორის მოვალეობის შებსრულებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ არამარტო სოფლებში , მუნიციპალიტეტში ძალიან ჭირს კვალიფიციური კადრის მოძიება, შესაბაიმსად პედაგოგებს უწევთ რამდენიმე სკოლაში საათების შეთავსება.

რჩევა: *რადან სკოლას სრული განაკვეთით ვერ ტვირთავს შემთავსებელ მასეავლებლებს, სასურველია, გამოაცხადოს კონკურსი ხელოვნებისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პოზიციაზე , სერტიფიცირებული მასწავლებლების სრულ განაკვეთზე დატვირთვის მიზნით.*
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათერდები. კათედრებს გააჩნიათ წლის დასაწყისში ერთობლივად შემუშავებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა კათედრების ოქმები, რომლებიც შესწავლილი იქნა ექსპერტების მიერ. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ხარისხის ჯგუფთან ინტერვიუირებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის ჯანსაღი თანამშრომლობითი კულტურა. კათედრები ერთობლივად გეგმავენ პროექტებს, ასევე უზიარებენ გამოცდილებასა და ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა

სასწავლო რესურსის შექმნასა თუ მოძიებაში. პედაგოგები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძელვენ უკუკავშირს. დასტურად სკოლამ წარმოადგინა უკუკავშირის ფორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომლობითი და გუნდურად მუშაობის კულტურა ექსპერტებთან თანამშრომლობის პროცესზე დაკვირვებისასაც გამოიკვეთა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმები კერძოდ, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და სხვა საფუძვლით წახალისება. და შინაგანაწესში გაწერილი აქვს წახალისების ფორმები (თავი 8), როგორიცაა მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვა. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ხშირია სიტყვიერი წახალისება, თუმცა შეძლებისდაგვარად ცდილობენ თანამშრომლების ერთჯერადი ფულადი პრემიით წახალისებას . დასტურად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ერთჯერადი ფულადი პრემიის გადაცემის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- უკუკავშირის ფორმა .
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;

- პირადი საქმეები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა ბაზა;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა პირველ ეტაპზე ახდენს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, შემდგომ, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარულ შეფასებას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სკოლა:

- ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით;
- რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
- სასწავლო წლის განმავლობაში შერჩევითობის პრინციპით ესწრება გაკვეთილებს;

გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტის თანახმად, სკოლაში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები შემდეგი სახით:

- სკოლის თანამშრომლობით დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/სამუშაო შეხვედრები;

სკოლა,როგორც პედაგოგიური,

ასევე, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები პრიორიტეტებში ითვალისწინებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და შესაბამის აქტივობებს.

გარდა ამისა, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი(**07.08.2023 წლის N-2-46 ბრძანებით**), რომლის თანახმადაც დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება).

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ შემოწმების შედეგად გამოვლინილი მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს ,ძირითადად, ადგილობრივი რესურსით, შეძლებისდაგვარად, მოწვეული სპეციალისტების დახმარებით განსაზღვრულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებასა და პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას. ასევე, პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი აქვთ ხელმძღვანელების მიერ მასწავლებლის სახლის ან სხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგები, რომელზე ინფორმაციაც სკოლის მიერ იქნა მიწოდებული.

მასწავლებელთა პირადი სააქმის შესწავლისას დათვალიერებული იქნა როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული განვითარების მიმართულებით ტრენინგ -კურსის გავლის დასტურად გაცემული სერტიფიკატები.მათი მნიშვნელოვნი ნაწილი ბოლო 3-4 წელიწადშია გაცემული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პროფესიული საჭიროებების დადგენა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, გარდა ამისა, სკოლას შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად და სტრატეგიულ მიზნად გამოტანილი აქვს - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის კი, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, მოაზრებული აქვს სხვადასხვა აქტივობები. კერძოდ, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა, ტრენინგების შეთავაზება, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება, საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა.
წინამდებარე აქტივობების შესრულების ვადები კი განსაზღვრულია ძირითადად სექტემბრის/ოქტომბრის თვიდან.

დირექტორთან და მხარდაჭერის ჯგუფთან გასაუბრებისას დადგონდა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლების გადიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსებს . დირექტორთან ან ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად განიხილავენ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შედეგებს, იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს.
ვიზიტისას სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გაკვეთილებზე დასწრებისა და შემდგომ გაცემული წერილობითი უკუკავშირის ფორმები. რაც მოწმობს იმას, რომ სკოლაში ნამდვილად მიმდინერეობდა სწავლების ხარისხის მონიტორინგი. თუმცა ხარისხის ჯგუფმა ვერ წარმოადგინა 2023-2024 წლისა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები.
ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას განემარტა ხარისხის ჯგუფის მიერ ანგარიშისა და მასზე დაყრდნობით მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენის ეფექტურობა, რაც მათ მიერვე შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში (1-ელი მუხლის მე-4 ქვემუხლის 4.1.1.3-სა და 4.1.1.4 პუნქტები მოიაზრებს ძირითად მმართველობით პორცესებს, მუხლი 3 . ხარისხის უზრუნველყოფის წესი, მუხლი 4 . სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან რისკების შეფასება

და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა). მკაფიოდაა გაწერილი და მიეცა რჩევა, მიმდინარე სასწავლო წელს მონიტორინგის შედეგები ასახულ იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ანგარიშში და გათვალისიწნებული იქნეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენიასას.

რჩევა : სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის ანგარიშის ფორმა , რაც საალებას მისცემს მის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრონ გასაძლიერებელი მხარეები და დაგეგმონ ეფექტური აქტივობები და შეიტანონ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით ითვალისწინებს პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას, ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულ პოზიციებზე; იმისათვის, რომ სკოლაში ფუნქციები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულებაც. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა. აღსანიშნავია, რომ სკოლის ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი, რომელიც იმავე სკოლის კურსდამთავრებულია . როგორც გასაუბრებისას აღნიშნა მას სკოლისგან აქვს დიდი მხარდაჭერა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მხრივ. კოლეგები ძალიან ეხმარებიან გამოცდლების გაზიარებითა და გაკვეთილების ერთობლიბვად დაგეგმვით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული და დამკიცებული აქვს ადამიანურირესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმნეტი(**07.08.2023 წლის ბრძანებით N2-49**), რომელშიც გაწერილია (**მუხლი 18. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია**) თანამშრომელთა ადაპტაციის მექანიზმები.

თანამშრომლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის წარმატებულ ადაპტაციას. ადაპტაციის მექანიზმებისა და უშუალოდ პროცესის შესახებ გვესაუბრა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მან აღნიშნა , გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ძირითდად დასაქმებულნი არიან ამავე თემის წარმომადგენლები, ასევე პერსონალთა გუნდი მცირერიცხოვანია , შესაბამისად , ადვილია გარემოსთან შეგუება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

როგორც სკოლის ადმინისტარციის ინტერვიუდან დაადასტურა, ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას წაახალისონ პეროსნალის სურვილის შემთხვევაში, მათ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.
თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა , რომ მათ ყოველთვის აქვთ საშუალება , პირადად შეხვდნენ დირქტორს და დააფიქსირონ ინიციატივა.
<u>სკოლას მიეცა რჩევა,,</u> *სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენების ფორმები და აქტივობები ასახოს შესაბამის დოკუმენტში.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის მიზანია :

- სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა , სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. შიდა ხარისხის მართვა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.
დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს.
დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ხარისხის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს შიდა პროცესებსა და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს საჭიროებებს და გეგმავს მათ შესაბამის ქმედით ნაბიჯებს.
ზემოაღნიშნული დადასტურდა როგორც ხარისხის ჯგუფთან ინტერვიუდან , თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი, კერძოდ , სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილებზე დასწრების გეგმა, ასევე გაცემული უკუკავშირის შევსებული ფორმები, მაგრამ ვერ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დადგინდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგის მნიშვნელობა ხარვეზების იდენტიფიცირების, მათი დროულად აღმოფხვრისა და სტრატეგიული განვითარებისათვის. იგი იყენებს ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილ მექანიზმებს.შედეგებზე დაყრდნობის გასცემს უკუკავშირს და ხელს უწყობს განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხამრე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 29-ე მუხლი მოიცავს გასაჩივრების მექანიზმებს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის წესი „ , რომელშიც აღწერილია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონია გადაწყვეტილების გასაჩივრების ან დირექტორის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევა.

სკოლის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა მთლიანობაში ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით - მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, გადაწყვეტილებების გასაჩივრების

მექანიზმები, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის უფლებების დაცვის დებულებებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.
სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- გაკვეთილზე დასწრებისა და უკუკავშირის ფორმები;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს მშობლის სკოლაში გამოცხადების, მასთან კომუნიკაციის, ურთიერთობის ფორმებისა და პრინციპების შესახებ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით, მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ მათი ინფორმირება ხდება:

- მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
- ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
- ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
- სოციალური ქსელში შექმნილი თითოეული კლასის დახურული ჯგუფის მეშვეობით..

გარდა ამისა, როგორც მშობლებთან ინტერვიუდან დადასტურდა , რომ მათ ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, დამრიგებელთან შეთანხმებით , ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან ან/და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სასაუბროდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

კოლეგიური ორგანოების სახით სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და ექვსი საგნობრივი კათედრა. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებელები. კათედრებს წლის დასაწყისში შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.

მშობლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სასკოლო ცხოვრების შესახებ, მონაწილეობდნენ სკოლი მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, ხშირი კომუნიკაცია აქვთ დამრიგებლებთან და ფლობენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ.

მოსწავლეებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ გარდა სკოლაში ჩატარებული გამოკითხვებისა, მათ სადამრიგებლო საათსა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილის ფარგლებშიც ჰქონიათ მსგავსი აქტივობები და საშუალება ეძლეოდათ საკუთარი

მოსაზრებეი გამოეთქვათ სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ასევე დაეფიქსირებინათ სურვილები ცვლილებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა ფორმებს, სკოლის დირექციის მათ დაჰპირდა, რომ იმსჯელებდნენ ამ თემაზე.

მოსწავლეებისა და მშობლების ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ სკოლა ითვალისწინებდა მშობლების აზრს და თანამშრომლობენ ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა ვერ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და დასკვნა.

სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია, კველევებისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი და დასკვნა წარმოადგინოს დოკუმენტის სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმები;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება.
- ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე , სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი(**16.10.2023წლის ბრძანებით N2- 86**), რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, პასუხისმეგებელი პირები, რეგულაციები. დოკუმენტის შესაბამისად სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აკონტროლებს დაწესებულებაში შემთვლელ/გამომსვლელ პირებს , სტუმართა მონაცემებს აღრიცხავენ ვიზიტორთა ჟურნალში. ასევე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი , სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ასევე პასუხისმეგელი პირები არიან მორიგე მასწავლებლები.

სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია. აქვს დიდი ღია სპორტული მოედანი. შენობა-ნაგებობა რეაბილიტირებულია, სრულად ადაპტირებულია , დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შეთანხმების წერილი 16.10.2023 MIA 4 23 03024195). ყველა სართულზე გამოკრული აქვთ საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის გეგმის შესაბამისად ყველა სართულზეა განთვსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

სკოლამ შეასრულა ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმის მერვე ნაწილით დაკისრებული ვალდებულება და მითითებულ ვადებში მოიპოვა შენობის მდგრადობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა (07.08.2023წ. № 005525523) .

ასევე სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. დასკვაში გაწერილი იყო მხოლოდ ერთი მოთხოვნა , სხვენის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარებით დამუშავებასთან დაკავშირებით. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა დოკუმენტი , მოთხოვნის შესაბამისი სამუშაოების შესრულების შესახებ და მიმდინარეობდა კიბის დამონტაჟების პროცესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დათველიერებისას დადასტურდა , რომ იგი კანონმდებლობის შესაბამისადაა აღჭურვილი, სკოლა ჰყავს ერთი ,შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, ექთანი. ვიზიტისას დაგამოწმებული იქნა მედიკამენტებია ვადები, ასევე მომართვიანობის ჟურნალები. მოსწავლეებთან და ექთანთან ინტერვიუებიდან დადგინდა , რომ ექთანი მოქმედებს სკოლის მიერ დადგენილი მექნიზმებისა და ნორმატივების შესაბამისად. ინტერვიუირებისას მან აღნიშნა, რომ მოსწავლის სახლში გაშვების საჭიროების შემთხვევაში ,უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლაში იძახებენ მშობლს , ბავშვის გაყვანამდე იგი მომართვიანობის ჟურნალში ხელისმოწერით აცხადებს წაყავნაზე თანხმობას და იღებს პასუხისმგებლობას , რაც დადასტურდა როგორც მშობლებისა და მოსწავლეების ინტერვიუებიდან ასევე ჟურნალების დათვალიერებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას არ ჰყავს მანდატური ,თუმცა ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული გადამზადებული უსაფრთხოებაზე , უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი , რომლის ვინაონა და ტელეფონის ნომერი , ასევე 112 ის ნომერი , გამოკრულია დერეფნებში . სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგეობის გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს. წესრიგზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობენ დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების '' დოკუმენტითა და შინაგანაწესით.

სკოლაში აქვს 9 სამეთვალყურეო კამერა, 4 გარე დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე, ხოლო 5 შიდა პერიმეტრზე. ფაქტობრივად, კონტროლდება სკოლის მთლიანი ტერიტორია. კამერების დათალიერებისას მიგნებული იქნა ერთი ბრმა უჯრედი , რომელიც ორ დამხამრე შენობა-ნაგებობას შორის არის მოქცეული. დარაჯთან და უასფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მუდმივად კონტროლდება ეზოს მთლიანი პერიმეტრი, და შესასვლელი კარი. მოსწავლეები უმეთალყურეოდ არ გადაადგილდებიან ეზოში, შესაბამისად , აღნიშნული უჯრედიც კონტროლდება. თუმცა , ექსპერტებმა უსაფრთხოების სრულად დაცვის მიზნით, სკოლას ურჩიეს დამხამრე შენობა-ნაგეგობებთან დამატებითი კამერის დამონტაჟება.

სკოლამ ავტორიზაციის დასკვნის პროექტის პასუხად, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. ზემოაღნიშნული ხარვეზის დასაძლევად სკოლამ ამა წლის 18 იანვარს მიმართა კომპანია ESERVIS-ს სამეთვალყურეო კამერის შეძენისა დამონტაჟების თხოვნით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით პრობლემა აღმოფხვრილი უნდა იქნეს ამა წლის 24 თებერვლისთვის.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულ ვადებში (24/02/2026)

გარე პერიმეტრზე დაამონტაჟოს სამეთვალყურეო კამერები დამატებით შენობა-ნაგებობებს შორის არსებული ბრმა უჯრედის დასასფარად და სრულად უზრუნველყოს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 124 მოსწავლე. სკოლაში სწავლობენ როგროც ქართველი , ასევე აზერბაიჯანელი ბავშვები. ვიზიტისას გარემოზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სკოლაში მეგობრული , ჰარმონიული და ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოა.

მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლისთვის ან/და ადმინისტრაციისთის მიმართვისას , ყოველთვის გრძნობენ მხარდაჭერას და ეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენული ნორმების დაცვის წესი და მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი . ასევე , სკოლის ექთანთან გასაუბრებით დადგინდა , რომ იგი მუდმუვად მეთვალყურეობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას , მოსწავლეებთან ატარებს სხვადასხვა აქტივობებს, ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის მიზნით.

სკოლა აქვს წყლის რეზერვუარები და უზრუნველყოფს წყლის უწყვეტად მოწოდებას. დღის ბოლოს შიდა სივრცეები იწმინდება სველი წესით.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე, წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები. სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა მას დახმარებას უწევს რესურცენტრის მიერ მიმაგრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყნება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. განსაზღვრულია ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი. ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. მოსავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია პაროლებით, პროგრამული განახლების სისტემებით. თითოეულ ელექტრონულ პლატფორმას (E-school, E-flow), რომელსაც სკოლა იყენებს, აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში შექმნილია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მრჩეველთა საბჭო (ბრძანება №2-71ა). ორმელიც შეიმუშავებს ინიციატივებს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით. საბჭოს ფუნქიონირების დასტურად, სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, რომლების შესწავლილი იქნა ექსპრტების მიერ. აქვე გამოთხოვილ იქნა დირექტორი ანგარიში, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების თაობაზე, რომელიც წარუდგელილი უნდა იქნეს მრჩევლეთა საბჭოსთნ, რომლის საფუძველზეც საბჭო გასცემს სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებს, რათა დაწესებულებას დაეხმაროს არსებული უსაფრთხოების პროცესების პერიოდულ თვითშეფასებაში. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ანგარიში.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი პირის განმარტებით, სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მეთოდს , რითაც ადგენს და აფასებს დაწესებულებაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს შესახებ ბრძანებაN 2-71ა
- ლ, სამხარაულის სახ. სასამართლოს ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ტექნიკურ უსაფრთხოებაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან , რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ბოლნისის რაიონი, სოფ. ქვეში უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია **80.13.64.048** მიწის დაზუსტებული ფართობია: **6729.00 კვ.მ.** სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით.

აღნიშნულ ნაკვეთზე დარეგისტრირებული ოთხი შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:

N1 (სკოლის ძირითადი კორპუსი)- საერთო ფართით_**605.10 კვ.მ.** (მათ შორის: I სართული_300.40კვ.მ. და II სართული_304.70 კვ.მ.);

N2_72.10 კვ.მ.,

N3_20.00 კვ.მ.,

N4_20.10 კვ.მ.

ძირითადი შენობის **პირველ სართულზე** განთავსებულია- ექიმის კაბინეტი,უფლებოსილი პირის ოთახი,კვების ობიექტი, 4 საკლასო ოთახი; საპირფარეშოები.

მეორე სართულზე- ბიბლიოთეკა, რომელშიც ასევე მოწყობილია რესურს ოთახი, ამავე სართულზე არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახი, რომელშიც კლასია განთავსებული, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც ასევე კლასია განთავსებული, ერთ სივრცეში მოწყობილი სამასწავლებლო და დირექტორის კაბინეტი და 4 საკლასო ოთახი.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, ვიზიტის პერიოდში არ იყო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი, თუმცა ჰქონდათ თემატური თავლსაჩინოებები. ასევე სკოლამ წარმოადგინა დოკუნეტაცია (განათლებისა და მესნიერების სამინისტროს წერილი ლაბორატორიის გადაცემის ვადებთან დაკავშირებით , 2026 ბოლო, და ბენეფიციარების ნუსხა , რომელშიც შეტანილია ქვეშის საჯარო სკოლა)

ამავე სართულზეა კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში მიეწოდება საკაბელო ინტერნეტის ერთი ხაზი, რაც ართულებს ტექნოლოგიების გაკვეთილების მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას, რადგან სკოლის სხვა სივრცეებში შეფერხებით მიეწოდება უკაბელო ინტერნეტი (WIFI), სკოლას აქვს 16 კომპიუტერი, აქვს 3 პრინტერი, 3 პროექტორი

დათვალიერებისას დადგინდა, რომ ყველა საკლას ოთახი აღჭირვილია საჭრო ინვენტარით(მერხებითა , სკამებით, დაფებით, მასწავლებლის სკამითა და მაგიდით.)სკოლაში არის ცენტრელური გათბობა.

სკოლაში ამ მომენტისათვის არ ფუქციონირებს ბუფეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები :ეზო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სკოლის ეზო არის კეთილმოწყობილი, წარმოადგენს სივრცეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა აქტივობებისთვის და შესვენების პროცესისთვის.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სხვადსხვა ღონისძიებების ჩატარებისას გამოიყენონ პროექტორები, ლეპტოპები, ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლის ბიბლიოთეკის დებულებით უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა როგორც სკოლის პერსონალისთვის, ასევე მოსწავლისა და მშობლისთვის.

ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია რესურს ოთახი, ექსპერტთა აზრით , დისკომფორტს ქმნის როგორც ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირებისთვის , ასევე სპეცმასწავლებლისა და სსსმ მოსწავლისთვის. სივრცე გადატიხრულია ფარდით, ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეში მოსახვედრად, საჭირო რესურს ოთახად გამიჯნული სივრცის გადაკვეთა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია , რომ მომდევნო სასწავლო წელს აღარ ეყოლებათ მე-10 კლასი, შესაბამისად, გამოთავისუფლდება ერთი საკლასო ოთახი , რომელშიც , სასწავლო წლის დასაწყისშივე (15.09.26წ.) , განთავებული იქნება რესურს ოთახი.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულ ვადებში (15.09.2026)
ბიბლიოთეკისა და რესურს ოთახის გამიჯვნა და აქედან გამომდინარე , სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მათი ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც განთავსებულია წიგნადი ფონდი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციებშიც შედის საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი წესების დაცვით, ფონდის კატალოგიზაცია - კლასიფიკაცია (ბიბლიოთეკაში არსებული წინგების აღრიცხვა და კატალოგების შექმნა), წიგნადი ფონდის მოწესრიგება, მოსწავლეებისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შეძენაში დახმარება და სხვა.
სკოლას შემუშავებული აქვს დადგენილი საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებობის წესები. საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმებით დადგინდა, რომ წიგნები რეგისტრაციაში გატარებული, მოსწავლეების მიერ წიგნის გატანის შემთხვევაში ივსება მკითხველის ბარათი. საკითხავი ლიტერატურა აღრიცხული და დამუშავებულია . ბიბლიოთეკაში აქვთ ლოპტოპი, შესაბამისად, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ , საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ ციფრული ბიბლიოთეკით.
რაც შეეხება მის ჩართულობას არაფორმალური განათლების მიმართულებით, იგი თანამშრომლობს პედაგოგებთან და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას მოსწავლეებს ეხმარება ლიტერატურის შერჩევაში.
სკოლამ ვიზიტისას წარმოდგინა მხატვრული ლიტერატურის შესყიდვისა და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლა სრულად რეაბილიტირებულია. აქვს ეზოდან შიდა სივრცეში მოსახვედრი პანდუსები, ასევე დამონტაჟებული ალიფტი. შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე მოსწავლე(ყოლის შემთხვევაში) ან პირი შეძლებენ სკოლის შიგნით გადაადგილებას.
სკოლას რესურს ოთახი განთავსებული აქვს ბიბლიოთეკაში და იზოლირებულია ფარდის საშუალებით .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი , თუმცა აქვს დიდი ეზო, ღია სპორტული მოედანი ეზო, რომელსაც იყენებენ სხვადსხვა სოციო-კულტურული და არაფორმალური აქტივობებისთვის .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- სკოლის სართულების გეგმა.
- ბიბლიოთეკით სარგებლობი წესი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც გაყვენილია ინტერნეტი, არ არის დაქსელივა და ძირითადად სარგებლობენ WIFI-ით. ვიზიტის დროს ინტერნეტი შეფერხებით მეოწოდებოდა, რაც ართულებდა ინტერნეტით სარგებლობას. დირექტორის მოვალების შენსრულეპელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა შესყიდული აქვს WIFI-ის გამაძლიერებლებიდა უმოკლეს დროში დააამონტაჟებენ.
კომპიუტერი , რომელიც გამოიყენება საქმისმწარმოებლისა და დირექტორის მიერ ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვნად წარმართვისათვის, შეერთებულია ინტერნეტკაბელზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. პედაგოგებისთვის განკუთვნილია ლეპტოპები და პირნტერი, რომელსაც იყენებენ რესურსების მოსამზადებლად.
სკოლა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას იყენებს Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას.
თუმცა საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის, ტექნოლოგიების გამოყენება ვერ დადასტურდა.
ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შიდა წესები, აღნიშნული გათვაისწინებულია, როგორც მატერიალური რესურსებით, ასევე, ლაბორატორიით სარგებლობის წესებში. კომპიუტერულ ლაბორატორიაში და დერეფანში გამოკრული იყო ლაბორატორიით სარგებმობის განრიგი.

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა დადგენილი წესის თანახმად ისარგებლონ ინფორმაციული ტექნოლოგიებით.

ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესი, რომელიც ადგენს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, სკოლაში შემოსულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის მიღებისა და დამუშავების წესებს, გასული დოკუმენტაციის წარმოების წესებს, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების და სხვა დოკუმენტების გაფორმების წესებს. საქმისწარმოების წესის შესაბამისად დოკუმენტების აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორიცაა eschool.emis.ge-ს სისტემა, ელექტრონული ფოსტა, ორისის ბუღალტრული პროგრამა. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge, საკომუნიკაციოთ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ასევე, სკოლა საქმისწარმოების პროცესში იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას გააჩნია პროფილი, რომელშიც შეყვანილია ინფორმაცია სკოლის შესახებ, პერსონალის, მოსწავლეებისა მშობლების შესახებ. შეყვანილია არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია და მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან,, ადგილობრივ თვითმმართველობასთან (მუნიციპალიტეტის მერიასთან). სკოლა ასევე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში. საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციას ამყარებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის პროფილი eschool.emis.ge-ზე;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა/ დამრიგებლები მშობლების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით, ასევე ზეპირსიტყვიერად, სკოლაში ვიზიტისას და სატელეფონო კავშირის საშუალებით. მშობლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან როგორც სკოლის ადმინისტარციასთან, ასევე კლასის დამრიგებელთან.
სკოლის საკომუნიკაციო ფუნქციას ასევე ასრულებს ელექტრონული ჟურნალი.
სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1997?schoolName განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმისმწარმოებელი, მასზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სკოლის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდითა და სოციალურ ქსელ fb-ის სკოლის საშუალებით ხდება განხორციელებული აქტივობებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.
ასევე სკოლის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია შიდაპორცესების მაგერულირებელი დოკუმენტები(შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი) . აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლას სრულიად აქვს გააზრებული პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: ვებგვერდს, სოციალურ ქსელს, სკოლის კანცელარიას, ელექტრონული ჟურნალს... ასევე პერიოდულად ატარებს გამოკითხვას, რომელიც მიზნად ისახავს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების შეგროვებას .
მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ მონაწილეობადს იღებდნენ გამოკითხვაში, სკოლა ყოველთვის თანამშრომლობს მათთან, უსმენს მათ, იღებს და ითვალისწინებს რჩევებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1997?schoolName , რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, კერძოდ, სწავლების განხორციელების ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, შიანგანაწესი, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , სტრატეგიული გეგმა , განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა, გასაინრების მექანიზმები. ბიუჯეტი და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი
- სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო. ამ რესურსით სკოლა იხდის პერსონალის ხელფასს, კომუნალურ გადასახადებს და იძენს სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებს , რითაც ქმნის პირობებს სასწავლო პროცესების წარმართვისათვის. დეფიციტის შექმნის შემთხვავში, მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეფიციტის შევსების მოთხოვნით.
ამ ეტაპზე სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული საპროგნოზო ბიუჯეტი, შესყიდვების დოკუმენტაცია, რომელიც დადარებული იქნა სამოქმედო გეგმასთან, რომელიც შესაბამისობაშია.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვს სკოლის დირექტორი . ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიების დაცვის მიზნისთ შექმნილია სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, ასევე მის მიერ ამ მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაშ გასატარებელი დისციპლინური ღონისძიებები და მისი უფლებები დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებითა და მშობელთა კრების ოქმით დასტურდება, რომ სკოლის შინაგანაწესი ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შინაგანაწესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლა ეყრდნობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლას ვებ-გვერდზე ატვირთული აქვს აღნიშნული მიმართულებით დოკუმენტაცია. მშობლებთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ასევე, კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკლასო / მშობელთა კრებებზე. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულება შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. პროცესების გამჭირვალობას უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და სკოლაში დასაქმებული პირები. სკოლაში დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი, რომელთა შემადგენლობაში მასწავლებლებთან ერთად მშობლები და მოსწავლეები არიან. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებთან დაკავშირებული ინფორმაციის, ასევე, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების მიწოდებას მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

სკოლას მოსწავლის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტის დროს შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ და გადამოწმებულ თითოეულ ხელშეკრულებას გააჩნია შესაბამისი რეკვიზიტები (თარიღი, ნომერი), დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერებით, განსაზღვრულია ხელშეკრულების ვადა, გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პირობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლასა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან - კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით და შიდა წესით მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დროს. მობილობა ხორციელდება მშობლის მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე, გამშვებ სკოლას ეგზავნება მიმღები სკოლიგან eschool-ის საშუალებით მოთხოვნა მიმღები სკოლისგან, განხორციელებული პროცედურის შემდეგ მიმღები სკოლა გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისგან მისთვის სასურველ დროს მიიღოს ინფორმაცია მობილობის შესახებ. მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობა ხორციელდება ბრძანება N04/ნ-ის შესაბამისად, ხოლო ესგ-ის 35-ე მუხლის მიხედვით წარიმართება კლასისა და საფეხურის დაძლევის ქმედებები. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლას არ აქვს მომსახურების სახეები. თუმცა საგაკვეთილო პერიოდის შემდეგ მასწავლებლები სისტემატიურად, მოხალისეობრივად, ამეცადინებენ მოსწავლეებს ქართულ ენაში. აღნიშნული პრაქტიკა არის უფასო, ნებაყოფლობითი და სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილი, რაც სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დასტურდება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად განთავსებულია საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების საჯაროდ ხელმისაწვდომობა ხდება მშობლებთან გაფორმებული ნებართვების საფუძველზე, სადაც იგი თანახმაა, რომ მისი შვილის მიერ განხორციელებული აქტივობების განთავსება სკოლამ მოახდინოს სოციალურ ქსელში. აღნიშნულ რესურსებსა და ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება სასკოლო თემის ყველა სუბიექტს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში ინფორმაციის გავრცელებას ახდენენ სკოლის საზოგადოების ოფიციალური პირები, დირექცია, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია არის კანონიერი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ;
- საჯარო სკოლის ელექტრონული ბაზები (Eflow-სა და Eschool-ის ბაზები);
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები;

- სკოლის მშობელთა კრებების ოქმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დეტალურად აღწერს ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს. წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს. ადაპტაციის წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ადაპტაციას. ამ წესის მიხედვით, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ტრანზიციის გეგმა. ასევე, მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია პროცედურები, რაც უნდა განახორციელოს სკოლამ, როდესაც ახალი მოსწავლე მოდის. სასკოლო საზოგადოება ეთნიკურად მრავალფეროვანია, ამიტომ ახალი მოსწავლის სკოლაში შემოსვლა სკოლისთვის წარმოადგენს დიდ გამოწვევას, რომლსაც წარმატების პასუხობს მასწავლებელი და განსაკუთრებით დამრიგებელი. სასკოლო საზოგადოების ინტერვიუებით დასტურდება, რომ მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის მთავარი ხელშემწყობი დამრიგებლები და შემდგომ უკვე საგნის მასწავლებლები არიან. თავის მხრივ მასწავლებლები ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებად ასახელებენ არაფორმალურ განათლებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლა ასახელებს, რომ შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან მიღწევების გასაუმჯობესებლად ტარდება დამატებითი მეცადინეობები, აქცენტი კეთდება მათ ძლიერ მხარეებზე. ხდება მათი შესაძლებლობების შესაბამისი დავალებების შედგენა, რათა მოხდეს პროგრამული მასალის დაძლევის გაუმჯობესება. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ მოსწავლეებს ყველაზე ხშირად ქართული ენასა და ლიტერატურაში სჭირდებათ კონსულტაცია. საგაკვეთილო პერიოდის შემდეგ მასწავლებლები სისტემატიურად, მოხალისეობრივად, ამეცადინებენ მოსწავლეებს ქართულ ენაში. აღნიშნული პრაქტიკა არის უფასო, ნებაყოფლობითი და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი. ამასთან სკოლის მოსაწავლეებთან ინტერვიუში სახელდება, რომ მასწავლებლები მათ ინგლისური ენის შესწავლაშიც ზემოხსენებულ პრაქტიკას მიმართავენ. სკოლის მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში ახალ ახსნილ მასალაზე თამამად სვამენ კითხვებს და საუბრობენ რომ

მასწავლებლების მხრიდან მუდმივად იღებენ უკუკავშირსა და დამატებით კონსულტაციას რაიმე საკითხის გაურკვევლობის შემთხვევაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

ზოგადი განათლების სისტემაში არსებული რეგულაციებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებს 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში ენიშნებათ ექსტერნატის გამოცდა. მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის, სკოლა სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მშობლებს მოსწავლეთა გაცდენების შესახებ, ამასთან მოსწავლეთა გაცდენები აღრიცხულია ელექტრონულ ჟურნალში. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრავს პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. გამოიცემა შესაბამისი აქტი. სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მოსწავლის რეგისტრაციას, ჩარიცხვა-ამორიცხვას ექსტერნატის ფორმით დაძლევას და გამოცდის ჩატარებას დროულად ატყობინებს მშობელს. ამასთან, ექსტერნატის ან/და საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, რომლის დეტალური პროცედურები და ასევე, მხარდამჭერი მექანიზმები სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაშია გაწერილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა ცხადყოფს, რომ სკოლაში დასაქმებულია კანმომდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება, სკოლაში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი შემოქმედებითი პროდუქტები, სკოლის სოციალური გვერდის შესწავლა ცხადყოფს, რომ სკოლა ცდილობს

მოსწავლეს მისცეს დამოუკიდებლობის და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალება. მოსწავლეებთან ინტერვიუებით დგინდება რომ გასულ სასწავლო წლებში მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის განხორციელებულ ინიციატივებში. დამრიგებლებისა და მოსწავლეთა ინიციატივით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

კოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. სკოლის მხრიდან მოსწავლეების მოსაზრებების მოსმენა და მათი ინტერესების გათვალისწინების მაგალითებს ვხდებით მოსწავლეთა აკადემიურ საჭიროებათა რეაგირებაში. მაგ., სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუში მთავარ საჭიროებას/ინტეერესს მოსწავლეები და მშობლები ასახელებენ ქართული ენის ცოდნას. მოსწავლეთა საჭიროებაზე სკოლის მასწავლებლები, არასაგაკვეთილო დროს, სასკოლო სივრცეში, უსასყიდლოდ, მოხალისეობრივად უწევენ ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კონსულტაცია-მეცადინეობებს, რის ეფექტურობასაც სასკოლო საზოგადოება მუდმივად ხაზს უსვამს. აღნიშნული პრაქტიკა მუდმივად დამყარებულია დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირზე და რეაგირების ეფექტურობა გამოხატულია მოსწავლის როგორც აკადემიურ მაჩვენებლების გაუმჯობესებაში ასევე სოციალიზაციის პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;.
- მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის ბრძანებები;
- განხორციელებული პროექტები;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ელექტრონული ჟურნალი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლაში სასწავლო და მიმდინარე პროცესებთან არსებულ სიახლეებს მოსწავლეებს აცნობს კლასის დამრიგებელი, ამასთან დაკავშირებით ეწყობა შეხვედრები და კლასის საათები. მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათი მხრიდან კარიერულ დაგეგმვარებასა და პროფესიულ ორიენტაციის შესახებ კითხვებზე პასუხს ძირითადად სკოლიდან იღებენ. სკოლაში ხორციელდება დაწყებითი და საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა და დაწესებულბის მისია, ხედვა, ღირებულებებშივე პრიორიტეტად დასახელებულია მოსწავლეთა საშუალო საფეხურზე სწავლება. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დასტურდება რომ შემოგარენში აღნიშნული სკოლა მათთვის პრიორიტეტულია, რადგან ამ სკოლაში საბაზო საფეხურის დასწრულების შემდგომ მოსწავლეთა უმრავლესობა აგრძელებს სწავლას სხვა სკოლის საშუალო საფეხურზე, რადგან სკოლიდან აქვთ ინტერესი გაღვივებული საკუთარი კარიერის დაგეგმვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მხრიდან ხდება მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების

შესაძლებლობების შესახებ, როგორც ზეპირი კომუნიკაციით, ასევე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დამრიგებლებს კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან. სკოლის სივრცეებში (მაგ. ბიბლიოთეკაში) განთავსებულია სხვადასხვა საინფორმაციო რესურსი, რომელშიც იკითხება სხვადასხვა ინფორმაცია პროფესიული თუ კარიერული განვითარების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სასკოლო საზოგადოება სკოლის კურსდამთავრებულებისა და ახლანდელი მოსწავლების წარმატების შედეგებს უკავშირებს მოსწავლეებში ქართული ენის სწავლების გაძლიერებას. ქართული ენის შესწავლისთვის დამატებითი კონსულტაციების არსებობა სკოლაში წლების პრაქტიკაა, რომელიც სწორედ ზემოხსენებული შედეგების მაგალითებსა და ანალიზს ეფუძნება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია ერთი სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 6 სსსმ მოსწავლე. სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას აქვს რესურსოთახი. სკოლაში დასაქმებულია ერთი სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 6 სსსმ მოსწავლე. სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები, რომელთა განხორციელებისასაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი მომსახურება. მოსწავლეთა მიკრპოავტობუსებით ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მონიციპალიტეტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი : 23.01.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: